საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1222-03
22/08/2022

2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტის, “პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლების და მეცნიერებათა მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/ნ ბრძანების, რექტორის 2016 წლის 11 მარტის N447-02 ბრძანების მეორე მუხლის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, იური სალუქვაძის 2022 წლის 22 აგვისტოს N11873-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების ქვემოთ მითითებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დანართში მითითებული რაოდენობების შესაბამისად:

ა)მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე / უცხო ენა);

ბ) ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება);

გ) ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მუსიკა);

დ) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები).

2. 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების ქვემოთ მითითებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კვოტების რაოდენობა მიმართულებების მიხედვით განისაზღვროს შემდეგნაირად:

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	უფასო ადგილები	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	18	2250

2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	15	2250
3	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	13	2250
4	სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)	20	2250
5	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2250
6	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2250
7	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	7	2250
8	ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	20	2250
9	გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	7	2250
10	რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	10	2250
11	ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);	15	2250
12	მუსიკა	10	2250
13	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	20	2250
14	ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I – IV კლასები)	25	2250

3. 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველებმა ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიარონ 2022 წლის 25 აგვისტოს 10:00 საათიდან 2022 წლის 2 სექტემბრის 18:00 საათის ჩათვლით რეგისტრაციის ბაზის საშუალებით შემდეგ ბმულზე: https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/lecturers და უნდა ატვირთოს ქვემოთ მითითებული დოკუმენტაცია:

ა) ავტობიოგრაფია (CV) – ქართულ ენაზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

გ) გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ გაცემული ცნობა საგნის გამოცდის ჩაბარების შესახებ გამოცდაზე რეგისტრაციის ნომრის, მიღებული და მინიმალური გამსვლელი ქულის მითითებით. რეგისტრაციისას საგნის გამოცდის ჩაბარების ცნობის არ არსებობის შემთხვევაში - საგამოცდო ბარათი. (პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას სავალდებულოა, წარმოდგენილი იყოს ზემოთ აღნიშნული ცნობა).

დ) მასწავლებლის სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, მასწავლებლის სერტიფიკატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

ე) 3/4 -ზე ფოტოსურათის ელ-ვერსია (პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოდგენილი უნდა იყოს ორი ფოტოსურათი და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD)).
ვ) ბაკალავრის/მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი ან შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა შესაბამისი ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი; უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი;
ზ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის).

4. ფაკულტეტის ადმინისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დიპლომის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. აპლიკანტი ერთი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით რეგისტრირდება მხოლოდ ერთხელ.
6. აპლიკანტი რეგისტრაციის დასრულების შემდგომ მის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებს სარეგისტრაციო ნომერს. აღნიშნული სარეგისტრაციო ნომრით მოხდება მისი იდენტიფიკაცია და შედეგებისა და საჭირო მონაცემების განთავსება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე მიღების პროცედურის დასრულებამდე.
7. რეგისტრაციის გავლის უფლება აქვთ იმ აპლიკანტებსაც, რომელთაც განაცხადი აქვთ შეტანილი მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდის აპელაციის თაობაზე და რეგისტრაციის პერიოდისთვის უცნობია საბოლოო შედეგი. ასეთი აპლიკანტების ჩარიცხვა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საბოლოო შედეგით გადალახავენ მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდის მინიმალურ ზღვარს.
8. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის ბაზაში შეყვანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობას იღებს აპლიკანტი;
9. პროგრამების მიხედვით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ზუსტი თარიღების და დროის შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე 2022 წლის 6 სექტემბერს;
10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდება 2022 წლის 7, 8 და 9 სექტემბერს;
11. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე 2022 წლის 12 სექტემბერს;
12. აპლიკანტებმა საპრეტენზიო განაცხადები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით უნდა გადმოაგზავნონ 2022 წლის 13 სექტემბერის 18:00 საათამდე შემდეგ ელ-ფოსტაზე: bte@iliauni.edu.ge
13. პროგრამების მიხედვით განმეორებითი გამოცდების ზუსტი დროის შესახებ ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2022 წლის 15 სექტემბერს;
14. სააპელაციო განცხადებების საფუძველზე განმეორებითი გამოცდა შედგება 2022 წლის 16 სექტემბერს
15. აპლიკანტთა რეიტინგული სიები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით (ჩასარიცხ კანდიდატთა ძირითადი და სათადარიგო სიები), მხოლოდ სარეგისტრაციო ნომრის მითითებით გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2022 წლის 19 სექტემბერს.
16. აპლიკანტებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები და მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლება, ხელშეკრულება გაფორმდება შემდეგი გრაფიკით:
ა) ძირითადი სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან – 2022 წლის - 21-22 სექტემბერი.
ბ) სათადარიგო სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან – 2022 წლის 23 სექტემბერი.

17. კონტროლი ბრძანებაზე დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლის ხელმძღვანელს- სოფიკო ლობჟანიძეს.

18. ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

19. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, განათლების სკოლას, იურიდიულ სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, ბიბლიოთეკას, რექტორის აპარატს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ყველა ადმინისტაციულ სტრქუტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი